ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 294

"13" სექტემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისში,ბოტანიკურის ქუჩა №1-ში(ნაკვეთი 019/025) მდებარე უძრავი ქონების (ს/კ №01.18.04.019.025) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჭრელი აბანოსთვის" (ს/კ: 204543299) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანულიკანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ბოტანიკურის ქუჩა №1-ში(ნაკვეთი 019/025) მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №01.18.04.019.025) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჭრელი აბანოსთვის" (ს/კ: 204543299) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 24 აგვისტოს №33.17.722 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ბოტანიკურის ქუჩა #1-ში (ნაკვეთი 019/025) მდებარე უძრავი ქონების (ს/კ №01.18.04.019.025) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჭრელი აბანოსთვის" (ს/კ: 204543299) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 23 500 (ოცდასამი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2032 წლის 13 დეკემბრამდე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**